23/01/2026

MES 0 26 0000055647

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;

პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის"დირექტორი, საბჭოს წევრი;

მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;

დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;

ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლა:
ანჟელა ღვიტიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ტყიბულის N2 საჯარო სკოლა:
მეგი ქათამაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლა:
ზეინაბ გოგიაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ -ქალაქ თბილისის N177 საჯარო სკოლა:
გელა ოდიშელიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლა:
ინეზა ციხიშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლა:
ლიანა ქოჩიშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლა:
ლალი კომლაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ -საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლა:
პაატა ჩხეიძე - სკოლის დირექტორი;
ლეილა ბეგიაშვილი - სკოლის დირექტორის მოადგილე
სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ რუფოთის საჯარო სკოლა:
კოტე გოგიაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლა:
გიორგი ჭიღლაძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლა:
ა) თამთა კობახიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ვერა ბენიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 08 იანვარს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1.სსიპ- ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ქალაქ ტყიბულის N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ თბილისის N177 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ რუფოთის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.სსიპ - ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამთა კობახიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 12 და 13 ნოემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N1415021 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 180 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 153.
ექსპერტმა, თამთა კობახიძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტების შეფასება. მისი თქმით 1-ელი და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი შესაბამისობით“, ვინაიდან კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასდა „ნაწილობრივად“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართა გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. მან ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ შესრულებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- „სტრატეგიული გეგმების შემუშავების დროს გაითვალისწინოს ყველა ის საჭიროება რაც სასკოლო ცხოვრების განვითარებას მოემსახურება. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, საჭიროების იდენტიფიცირება და შესაბამისი სტრატეგიული მიზნების ფორმულირება შეძლოს ;
- სამოქმედო გეგმით განსაზღვროს მიზნის მისაღწევი ამოცანები და შესრულების ინდიკატორები, რაც იქნება იმის მაჩვენებელი, თუ რა შედეგი უნდა დადგეს კონკრეტული ამოცანის შესრულების შემდგომ;

- უზრუნველყოს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება და მასში განსაზღვროს კადრების შევსებისა და მოზიდვის გზები. ასევე, თანამშრომელთა მიერ სამსახურის გაცდენის შემთხვევაში, კადრების მყისიერი ჩანაცვლების გეგმა;
- სკოლამ უზრუნველყოს ა) საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა; ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დასაქმების შეზღუდვის შემთხვევების გათვალისწინება შესაბამის დოკუმენტში;
- გ) დასაქმებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენა.
- და ასევე უზრუნველყოს იმ თანამშრომლების ნასამართლეობის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარმოდგენა, რომლებიც მინიმუმ 2020 წლიდან მუშაობენ დაწესებულებაში;
- სკოლამ უზრუნველყოს ყველა პოზიციისათვის (გარდა მასწავლებლებისა და ექიმის პოზიციაზე დასაქმებული პირისა) განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტის შემუშავება) და შესაბამისად სკოლის პერსონალი აიყვანოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად;
- სკოლამ უზრუნველყოს აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება.“

მეტწილად შესრულებული იყო შემდგომი რეკომენდაციები:

- „სკოლამ უზრუნველყოს აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ (აქვს მიწერილობა);
- სკოლამ უზრუნველყოს ქიმიის კაბინეტში ონკანის და გამწოვის მონტაჟი სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.“

სკოლის მიერ არ იყო შესრულებული:

- „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში განსაზღვროს სხვა ჩართული მხარეები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა პროცენტებში. ასევე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია ვერ აკმაყოფილებს სტანდარტს, არ არის გამწოვი კარადები და სათანადო აღჭურვილობა.“

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რა ეტაპზე იყო სკოლის ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის მოწყობა.
ექსპერტმა, თამთა კობახიძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას ამ მიმართულებით ესაჭიროებოდა ფინანსური მხარდაჭერა და ჰქონდა მიწერილობები შესაბამის ორგანოებთან.
საბჭოს წევრი, დავით მალაზონია, დაინტერესდა, რამდენად იყო სკოლა მზად ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად.
ექსპერტმა, თამთა კობახიძემ, აღნიშნა, რომ სკოლის დირექტორს შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებული ჰქონდა ავტორიზაციის დროს მიღებული რეკომენდაციები და შესაბამისად, მხარდაჭერის მიღების შემთხვევაში, შეძლებდა სხვა რეკომენდაციების გათვალისწინებასაც.
სკოლის დირექტორმა, ანჟელა ღვიტიძემ, აღნიშნა, რომ თავდაპირველად დაფინანსებაზე მიიღო უარი, ვინაიდან განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო უზრუნველყოფდა სკოლების ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით აღჭურვას და ელოდნენ შემდგომ რეაგირებას, ხოლო სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ

დასკვნის მიღების მიზნით ჰქონდა მიწერილობა მუნიციპალიტეტთან, განხორციელდა სკოლაში ვიზიტი და ასევე ელოდნენ შემდგომ ნაბიჯებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2026 წლის 08 იანვარი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:43
დასრულების დრო: 14:49

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის (სკ/: 229728658) მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 08 იანვარი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2027 წლის დეკემბერში ვიდეოსათვალთვალო სისტემის მოწყობის, შესრულებისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, ასევე პანდუსის/ლიფტის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. სსიპ - ქალაქ ტყიბულის N2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 11 დეკემბრის N1688623 ოქმის მე-8 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა, ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტი, თუმცა, აღნიშნულ აქტში დაფიქსირებული იყო, შენობის შეუსაბამობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, მეგი ქათამაძემ, აღნიშნა, რომ მიღებული ჰქონდათ სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა, თუმცა აღნიშნულში წარმოდგენილი იყო გარკვეული ხარვეზები, რომელთა დიდი ნაწილიც სკოლას გამოსწორებული ჰქონდა, ხოლო სხვა ხარვეზების აღმოსაფხვრელად ესაჭიროებოდათ ფინანსური მხარდაჭერა.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, ხოლო რეკომენდაცია, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და არ იყო სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო შესრულებული (შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ გამოკვლევის აქტში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრა) საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 11 დეკემბრის N1688623 ოქმის მე-8 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 14:52
დასრულების დრო: 14:56

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 11 დეკემბრის N1688623 ოქმის მე-8 ნაწილში და დაწესებულებამ შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ნოემბრისა.

3. სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 06 ნოემბრის

N1498719 ოქმის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2023 წლის დეკემბრამდე წარმოედგინა ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება, ხოლო 2025 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები, აქვე, განმარტა, რომ სკოლამ 2023 წლის დეკემბრამდე წარმოადგინა ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც განიხილა საბჭომ და დოკუმენტის სრულყოფის მიზნით, დამატებით განუსაზღვრა ვადა 2025 წლის სექტემბრამდე (04/04/2024 ოქმი N395351).
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა, ვერიფიკაციის მექანიზმი და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ზეინაბ გოგიაშვილმა, აღნიშნა, რომ ჰქონდათ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, თუმცა აღნიშნული იყო რეკომენდაციები. მისი თქმით, დასკვნაში ასახული რეკომენდაციები აღმოფხვრილი იყო და უახლოეს მომავალში წარმოადგენდნენ ცენტრში შესაბამის მტკიცებულებას.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო იმ რეკომენდაციაზე, რომელიც არ იყო წარმოდგენილი, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 06 ნოემბრის N1498719 ოქმის მე-2 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 14:59
დასრულების დრო: 15:03

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 06 ნოემბრის N1498719 ოქმის მე-2 ნაწილში და დაწესებულებამ შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ოქტომბრისა.

4. სსიპ - ქალაქ თბილისის N177 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 12 სექტემბრის

N1134249 ოქმის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის აგვისტომდე წარმოედგინა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, კვალიფიციური ექიმის დასაქმების, სკოლის შენობის მე-2 სართულიდან საევაკუაციო გასასვლელის მოწყობის, სახანძრო სიგნალიზაციის, ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემის მოწყობის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის, სკოლის ექიმის შტატის გაზრდის, პანდუსისა და ლიფტის მოწყობის, ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფის, ვებ-გვერდზე ინფორმაციის ქართულ ენაზე განთავსების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ცნობები, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, ექთნის დასაქმების, მე-2 სართულიდან საევაკუაციო გასასვლელის მოწყობისა და ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის, ევაკუაციის მართვის სისტემის მოწყობის, ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფისა და ინფორმაციის ქართულ ენაზე განთავსების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და შენობის ადაპტირების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ. მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, გელა ოდიშელიძემ, აღნიშნა, რომ გარკვეული რეკომენდაციების შესრულება სკოლისთვის იყო გამოწვევა, ვინაიდან ესაჭიროებოდა ფინანსური რესურსები. მისი თქმით, ჰქონდა მიწერილობები პასუხისმგებელ ორგანოებთან და ელოდნენ შემდგომ რეაგირებას.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, ხოლო რეკომენდაციები, რომელებიც საჭიროებდა დიდ ფინანსურ რესურსს და სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და შენობის ადაპტირება) საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ, საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 12 სექტემბრის N1134249 ოქმის მე-3 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:06
დასრულების დრო: 15:09

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 12

სექტემბრის N1134249 ოქმის მე-3 ნაწილში და დაწესებულებამ შეუსრულებელი რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის დეკემბრისა.

5. სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, აღნიშნა, რომ ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვაში მონაწილეობას, ვინაიდან ავტორიზაციის პროცესში იყო ექსპერტთა ჯგუფის წევრი.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 06 ნოემბრის N1498719 ოქმის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ოქტომბრამდე წარმოედგინა შენობის მდგრადობისა და შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები, უფლებამოსილ პირთან/ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და ადაპტირებული გარემოს შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხოლო 2024 წლის ოქტომბრამდე რესურს ოთახის მოწყობის მტკიცებულებები.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, რესურს ოთახის მოწყობის, საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს სხდომაზე სკოლის წარმომადგენლის პოზიცია არ დაფიქსირებულა.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, ხოლო რეკომენდაცია, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო არ იყო შესრულებული (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა), საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ, საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 06 ნოემბრის N1498719 ოქმის მე-3 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:13
დასრულების დრო: 15:18

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 06 ნოემბრის N1498719 ოქმის მე-3 ნაწილში და დაწესებულებამ შეუსრულებელი რეკომენდაციის

შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ოქტომბრისა.

6. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 22 ნოემბრის N1592651 ოქმის მე-10 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ნოემბრამდე წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების, შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და სამედიცინო პუნქტის/კაბინეტის მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტები.
დაწესებულებამ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ექიმის კაბინეტის მოწყობის და ექთნის დანიშვნის მტკიცებულებები.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ. მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, ლიანა ქოჩიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას მოპოვებული ჰქონდა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და უახლოეს მომავალში წარმოადგენდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო რეკომენდაცია, რომელიც არ იყო წარმოდგენილი, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 ნოემბრის N1592651 ოქმის მე-10 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:13
დასრულების დრო: 15:18

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 22

ნოემბრის N1592651 ოქმის მე-10 ნაწილში და დაწესებულებამ შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ნოემბრისა.

7. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციებისშესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 26 ოქტომბრის N1448417 ოქმის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ოქტომბრამდე წარმოედგინა სკოლის პერსონალის საჭიროებების გამოვლენის და პერსონალის განვითარების გეგმის შემუშავების, სკოლის საჭიროებების შესაბამისად გამოკვეთილი მიმართულებების კვლევის ჩატარების, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, ძალადობის რისკებთან დაკავშირებით მასწავლებლებისა და მოსწავლეების ანონიმური კითხვარების, ვებ-გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის ასახვის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, პერსონალის განვითარების გეგმა, საჭიროების კითხვარი, მდგრადობის დასკვნა (სავანისა და იცქისის მისამართებზე), ვებ-გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის ასახვისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ. მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის, ლალი კომლაძის, თქმით, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვების მიზნით ჰქონდა მიწერილობა პასუხისმგებელ ორგანოებთან.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო რეკომენდაცია, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და არ იყო სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო შესრულებული (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 ოქტომბრის N1448417 ოქმის მე-2 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:23
დასრულების დრო: 15:27

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 26 ოქტომბრის N1448417 ოქმის მე-2 ნაწილში და დაწესებულებამ შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ოქტომბრისა.

8. სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 07 ნოემბრის N1508902 ოქმის მე-4 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ოქტომბრამდე წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და ინკლუზიური გარემოს მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულებამ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის მდგრადობის დასკვნა.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და ინკლუზიური გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ. მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორის მოადგილემ, ლეილა ბეგიაშვილმა, აღნიშნა, რომ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და ინკლუზიური გარემოს მოწყობისთვის ჰქონდა მიწერილობები ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან, თუმცა ვინაიდან აღნიშნული ორგანიზაცია გაუქმდა, მომავალში კომუნიკაციას დაამყარებდნენ ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო რეკომენდაციები, რომელებიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და არ იყო სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო შესრულებული (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და ინკლუზიური გარემოს მოწყობა) საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 ნოემბრის N1508902 ოქმის მე-4 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:31
დასრულების დრო: 15:33

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 07 ნოემბრის N1508902 ოქმის მე-4 ნაწილში და დაწესებულებამ შეუსრულებელი რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ოქტომბრისა.

9. სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ რუფოთის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 07 ნოემბრის N1508902 ოქმის მე-5 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ოქტომბრამდე წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
სკოლამ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის მდგრადობის დასკვნა, მიუხედავად იმისა, რომ ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან აღნიშნულის წარმოდგენა არ იყო მოთხოვნილი.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ. მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, კოტე გოგიაშვილმა, აღნიშნა, რომ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებისთვის მიწერილობა ჰქონდათ ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან, თუმცა, ვინაიდან აღნიშნული ორგანიზაცია გაუქმდა, მიმართავდნენ ადგილობრივ თვითმმართველობას.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია. იქიდან გამომდინარე, რომ საბჭოს მხრიდან გაცემული რეკომენდაცია საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და არ იყო სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო შესრულებული (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 07 ნოემბრის N1508902 ოქმის მე-5 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:39
დასრულების დრო: 15:41

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს

ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 07 ნოემბრის N1508902 ოქმის მე-5 ნაწილში და დაწესებულებამ რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ოქტომბრისა.

10. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 28 ნოემბრის N1611764 ოქმის მე-8 ნაწილის საფუძველზე, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია 2025 წლის ნოემბრამდე წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები, ასევე, ვებ-გვერდზე სრულყოფილი ინფორმაციის ქართულ ენაზე განთავსების მტკიცებულები. დაწესებულებამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ პროექტი, ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და საბჭოს წევრებს, ხომ არ სურდათ პოზიციის დაფიქსირება.
სკოლის დირექტორმა, გიორგი ჭიღლაძემ, აღნიშნა, რომ შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებისთვის მიმართული ჰქონდათ პასუხისმგებელ ორგანოსთან.
საბჭომ ცნობად მიიღო სკოლის მიერ წარმოდგენილი დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო რეკომენდაცია, რომელიც საჭიროებდა დიდ ფინანსურს რესურსს და არ იყო სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო შესრულებული (შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა) საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების განხორციელება, კერძოდ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ვადების ცვლილების კუთხით.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის N1611764 ოქმის მე-8 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 15:45
დასრულების დრო: 15:49

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2023 წლის 28 ნოემბრის N1611764 ოქმის მე-8 ნაწილში და დაწესებულებამ შეუსრულებელი რეკომენდაციის

შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირება განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვებისთანავე, ნაცვლად 2025 წლის ნოემბრისა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 15:50 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე